აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 16 | 18 სექტემბერი, 2019 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ (№80, 12.09.2019წ.)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე

ავტორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

12.09.2019 წელი	წამყვანი კომიტეტი: 8.10.2019წ. სხვა კომიტეტები: 2.10.2019წ.	2019 წლის საშემოდგომო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ქალაქი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“.

გთხოვთ, კანონპროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -8- ფურცელი.

პატივისცემით,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

09-01-08/90
12.09.2019
9 ფურცელი

დავით გაბაიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ

თავი I.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების აღწერილობას, გამოყენების წესს, განსაზღვრავს მათი გამოყენების სფეროებს და დაცვის წესს, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილებს.

თავი II.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოსახულება და ზომები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ერთადერთი ვარიანტი. სხვა დროშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშად გამოყენება აკრძალულია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოსახულება თან ერთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოსახულების (მათ შორის, ფერების) შეცვლა აკრძალულია.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ზომების შეცვლა შესაძლებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული შესაბამისი პროპორციების დაცვით.

5. სავალდებულოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალის შენახვის ადგილი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალის შენახვის ადგილად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალი ინახება მისთვის გამოყოფილ საგანგებო ადგილას, ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის რაიმე სახით დაზიანებას.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვა და გამოფენა

1. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა მუდმივად აღმართულია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობაზე;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობაზე, აგრეთვე იმ შენობაზე სადაც იმართება მისი სესიები, - სესიების მიმდინარეობის პერიოდში;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შენობაზე;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობებზე, აგრეთვე იმ შენობებზე სადაც იმართება ამ ორგანოთა სხდომები, - სხდომების მიმდინარეობის პერიოდში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა გამოიფინება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ოფიციალურ ღონისძიებებზე;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები განსაზღვრავენ თავიანთ დაწესებულებებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების და დაცვის სხვა შემთხვევებს.

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის წესი განისაზღვრება „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების აკრძალვა

დაზიანებული, გაუფერულებული ან სხვაგვარად შელახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები.

თავი III.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახვის ფორმები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი გამოისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული აღწერილობის მიხედვით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულება თან ერთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი შეიძლება გამოისახოს ერთ ფერში, ფერთა და მეტალთა შესაბამისი ჰერალდიკური დაშტრიხვის (ფერთა გრაფიკული გამოსახვის ხერხის) გამოყენებით.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი შეიძლება გამოისახოს ერთ ფერში, ფერთა და მეტალთა შესაბამისი ჰერალდიკური დაშტრიხვის გამოყენების გარეშე (კონტურით).

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი შეიძლება გამოისახოს ერთ ფერში, შესაბამისი ჰერალდიკური დაშტრიხვის გამოყენებით ან მის გარეშე.

მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალის შენახვის ადგილი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალის შენახვის ადგილად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალი ინახება მისთვის გამოყოფილ საგანგებო ადგილას, ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის რაიმე სახით დაზიანებას.

მუხლი 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სფერო

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი გამოისახება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების შემდეგი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებები, მათი ტერიტორიული ორგანოები;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

2. სავალდებულოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის განთავსება აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების შენობების ფასადზე, მათ სხდომათა დარბაზებში, თანამდებობის პირების სამუშაო ოთახებში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება სავალდებულოა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სხვა შემთხვევები შეიძლება განისაზღვროს კანონმდებლობით.

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი განთავსდება (გამოისახება) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერბის ან ჰერალდიკური ნიშნის მარცხენა მხარეს (ჰერალდიკური მარჯვენა მხარე) დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის (ჰერალდიკური ნიშნის) პირდაპირ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და მათი გერბების (ჰერალდიკური ნიშნების) ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გერბი ან ჰერალდიკური ნიშანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბზე მაღლა განთავსდეს (გამოისახოს) ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს ზომით აღემატებოდეს.

3. დაზიანებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება დაუშვებელია.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენება ამ კანონის დარღვევით ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შებღალვა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, პოლიტიკურ პარტიებსა და შემოქმედებით კავშირებს ეკრძალებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შენობების ფასადებზე, ბლანკებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე გამოყენება. სხვა შემთხვევაში ისინი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს შეუზღუდავად იყენებენ.

მუხლი 13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ერთდროულად გამოყენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ერთდროულად გამოყენების წესი განისაზღვრება „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვას უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები.

თავი IV.
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. გარდამავალი დებულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ეტაპობრივად გატარება.

მუხლი 16. ამ კანონის ამოქმდებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 20 ივლისის კანონი (გაზეთი “აჭარა“, №137, 21.07.2004);

ბ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 17 ივნისის კანონი (გაზეთი “აჭარა“, №67, 24.06.2008).

მუხლი 17. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიჟვაძე

ჩაქვი,
2019 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი. ამასთან აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 1 ივლისის კონსტიტუციური კანონი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ცვლილება განიცადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციამაც, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციური კანონით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. აღნიშნული კონსტიტუციური კანონი დამტკიცდა საქართველოს 2018 წლის 4 მაისის ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით ახლებურად მოწესრიგდა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების საკითხიც. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და გერბის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის მიზეზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის დადგენის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი მოთხოვნის შესრულება.

ვინაიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით დადგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოები და ისინი თან ერთვის კონსტიტუციას, წარმოდგენილი კანონპროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის შესახებ“ 2004 წლის 20 ივლისის კანონი და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 17 ივნისის კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანია:

კანონპროექტის ძირითადი მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის განსაზღვრა, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების მარეგულირებელი ნორმები შესაბამისობაში მოვა „აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასთან და „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 4 თავისა და 17 მუხლისაგან.

I თავი მოიცავს ზოგად დებულებებს, რომელიც ადგენს კანონის რეგულირების სფეროს. კერძოდ, კანონპროექტის რეგულირების სფეროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების აღწერილობის, გამოყენების წესის დადგენა, ასევე მათი გამოყენების სფეროების და დაცვის წესის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილების განსაზღვრა.

II თავი ეთმობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშას. აღნიშნულ თავში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოსახულება და ზომები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის ორიგინალის შენახვის ადგილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დამზადების წესი და პირობები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვა და გამოფენა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის აღმართვის წესი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის გამოყენების აკრძალვა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის დაცვა.

III თავი დათმობილი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბს. მოცემულ თავში შესულია ისეთი საკითხები როგორიცაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახვის ფორმები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ორიგინალის შენახვის ადგილი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სფერო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების წესი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის ერთდროულად გამოყენება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის დაცვა.

IV თავი დათმობილი აქვს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს. გარდამავალი დებულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ეტაპობრივად გატარება.

დასკვნითი დებულებების შესაბამისად, კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 20 ივლისის კანონი; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 17 ივნისის კანონი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.